

ფარულ მიყურადებაზე ზედამხედველობის სამართლებრივი მექანიზმების
თავსებადობა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან -
საქართველოს გამოცდილება

ხათუნა კვინცხაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხათუნა კვინცხაძე

01.07.2022

აბსტრაქტი

დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად ფარული საგამომიებო მოქმედებების, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციების ფარული მიყურადების გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა კი განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული ამგვარი მეთოდების ფარული ხასიათის გამო, რასაც უფრო მეტად ართულებს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება. შესაბამისად, სამართალდამცავი სექტორის ანგარიშვალდებულების და მათ მიერ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების რისკების პრევენციისთვის, აუცილებელია ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის არსებობა. საქართველოში ფარული მიყურადების მეთოდების შედეგად პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების და საუბრების მასობრივი გავრცელების ფაქტები ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად, მიყურადების ზედამხედველობა ეფექტიანი ვერ ხორციელდება და არსებული მექანიზმი რეფორმას საჭიროებს.

წინამდებარე კვლევის ამოცანაა ფარული მიყურადების და მასზე ზედამხედველობის მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს სისტემური შესწავლა მიყურადების ყველა ეტაპზე და მისი მთავარი ხარვეზების იდენტიფიცირება. ნაშრომში ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდით განხილულია სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი ელემენტები და მისი გაუმჯობესების მიზნით გადადგმული ნაბიჯები, აგრეთვე ფარული მიყურადების სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები. კვლევის მიზანია გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ალტერნატიული რეგულირების შეთავაზება.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიყურადების ზედამხედველობის ეფექტიანობას ამოწმებს კომპლექსურად, ქვეყნის კანონმდებლობის შემადგენელი ყველა ელემენტის შესწავლით და მისი პრაქტიკაში აღსრულების შედეგებით. კანონმდებლობის და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზით დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედი ფარული მიყურადების ზედამხედველობის მექანიზმი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს, რაც მეტწილად განპირობებულია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობის არასაკმარისი გარანტიებით, რაც ქმნის საფუძვლიან ეჭვებს, რომ ფარული მიყურადების ინფრასტრუქტურა გამოყენებული იქნება ზედამხედველობის მექანიზმის მიღმა.

არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, ნაშრომში შემოთავაზებულია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის ან მთავრობის მეთაურის წინაშე, ასევე მისი ხელმძღვანელის არჩევა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის კონსენსუსის საფუძველზე. აგრეთვე, უნდა გაიზარდოს პარლამენტის ჩართულობა შემდგომი კონტროლის ეტაპზე. საქართველოს პარლამენტმა უარი უნდა თქვას პრეზიდენტის ვეტოს დაძლევაზე, რომელიც აფართოებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიყურადების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება არსებული კანონმდებლობის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ფარული საგამომიებო მოქმედებები, ფარული მიყურადება, ზედამხედველობის მექანიზმი.

Abstract

In a democratic state, the use of covert investigative activities, including the covert surveillance of electronic communications by law enforcement agencies to achieve legitimate aims must comply with the principle of proportionality. Protecting the balance between privacy and public interests is associated with special difficulties due to the secret nature of such methods, which is further complicated by the development of modern surveillance technologies. Accordingly, for the accountability of the law enforcement sector and the prevention of the risks of abuse of powers by them, it is necessary to have an effective oversight mechanism. The facts of the mass revelations of footage and conversations depicting private life as a result of covert surveillance methods in Georgia demonstrate that despite several legislative amendments over the years, the mechanism for the supervision of surveillance is not effective in practice and it needs to be reformed.

The purpose of the present study is a systematic examination of the legal framework of covert surveillance and its supervision at all stages of surveillance in order to identify its main shortcomings. The paper discusses the main elements of the legislation in force at different times and the steps taken to improve it, as well as relevant human rights standards in the field of secret surveillance at international and European levels. The study also is aimed at proposing an alternative regulation of the problematic issues in order to eliminate the identified shortcomings and ensure compliance with the abovementioned standards.

In the course of the research, it was established that the European Court of Human Rights examines the effectiveness of supervision in a comprehensive manner, by studying all the elements of the legislation at hand and the results of its implementation in practice. In the light of the findings, the study concludes that the covert surveillance oversight mechanism operating in Georgia is not able to ensure compliance with the standards of the European Court of Human Rights, which is largely due to insufficient guarantees of the independence of the Operational-

technical agency possessing infrastructure to carry out interception of electronic communications, creating legitimate doubts that the means of covert surveillance will be used outside the established oversight mechanism without the public's knowledge.

In order to overcome the existing challenges, the present study proposes the establishment of the Operational-technical agency as an independent body, which will be accountable to the Parliament or the Head of the Government, as well as to elect its Head based on the consensus of different political forces. Also, the involvement of the Parliament in the subsequent control stage should be increased. The Parliament of Georgia should not override the President's veto on the legislation significantly broadening the capacities of the law enforcement bodies in carrying out covert activities, especially considering that the Constitutional Court has not decided on the constitutionality of the existing legislation.

Key words: privacy, covert investigative actions, covert surveillance, oversight mechanism.